საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS FROM THE OCCUPIED TERRITORIES, LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL HEALTH AGENCY

KA030121076886422

საქართველო, თბილისი 0119, აკ. წერეთლის გამზ. 144, ცხელი ხაზი :1505; ელ.ფოსტა: infonha@moh.gov.ge
144 Ak. Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: ; 1505; Email: infonha@moh.gov.ge

№ 10/651 **01 / თებერვალი / 2022 წ.**

საქართველოს პარლამენტთან არსებული
ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს,
ბატონ მამუკა გონგაძეს

მისამართი: თბილისი 0114,
სანაპიროს N4

პასუხი თქვენს 2022 წლის
12 იანვრის N6 წერილზე

ბატონო მამუკა,

თქვენი მოთხოვნის შესაბამისად, გიგზავნით "საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 31 იანვრის N01-8/ნ ბრძანების ასლს.

დანართი: 3 ფურცელი

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დირექტორი თამარი მელიქიძე

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება N01-8/ნ

31 იანვარი 2022 წ.

ქ. თბილისი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების დამტკიცების შესახებ

„სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო - ემბლემა თანდართული სახით.

2. ემბლემა წარმოადგენს მეწამული არშიით შემოსაზღვრულ ჰერალდიკურ ფარს, რომლის ვერცხლის ველის შუაში გამოსახულია მეწამული ოთკუთხედებით შედგენილი სტილიზებული სამედიცინო ჯვარი.

3. ამ ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების გამოყენება (აღმართვა, გამოფენა, გამოსახვა და აშ.) ხდება სააგენტოს საქმიანობის ფარგლებში და მიზნებისათვის. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, ამ ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების გამოყენების წესები, შესაძლებელია, დაზუსტდეს სააგენტოს დირექტორის გადაწყვეტილებით.

4. სააგენტო უზრუნველყოფს „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიების

გატარებას.

5. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

ზურაბ აზარაშვილი

სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს ემბლემა



აღწერილობა:

სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს ემბლემა წარმოადგენს მეწამული არშიით შემოსაზღვრულ ჰერალდიკურ ფარს, რომლის ვერცხლის ველის შუაში გამოსახულია მეწამული ოთხკუთხედებით შედგენილი სტილიზებული სამედიცინო ჯვარი.